



სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

საინფორმაციო გამოშვებები

3-23 მაისი 2014

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველო კვლავ აგრძელებს მედიის მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი დაიწყო 15 აპრილს და გაგრძელდება 30 ივნისის ჩათვლით. დაკვირვება ხდება საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიასა და ტვპ-ზე. მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს 3-დან 23 მაისის ჩათვლით.

ამ პერიოდში ტელევიზიების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგის ქვეშ მყოფი არხების დიდ ნაწილზე შედარებით მოიმატა ანალიტიკურმა სიუჟეტებმა. აქტუალური და მნიშვნელოვანი თემები უმეტესად დეტალურად და ამომწურავად შუქდებოდა.
- არხების უმეტესობაზე მზადდებოდა კრიტიკული სიუჟეტები მთავრობისა და ხელისუფლების წევრების მიმართ.
- რუსთავი 2-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შედარებით მეტად შეინიშნებოდა მთავრობის მიმართ უარყოფითი და კრიტიკული დამოკიდებულება. ტვპ-ის გამოშვებებში კი პირიქით, უფრო მეტად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ ფიქსირდებოდა უარყოფითი კონტექსტში მომზადებული სიუჟეტები. სხვა არხებზე მსგავსი ტენდენციები ასე აშკარად არ შეინიშნებოდა.
- ყველა არხზე (მაესტროს გარდა) საკმაოდ მოიმატა ყველა სუბიექტის დადებითი ტონით გაშუქებამ. ეს ძირითადად საარჩევნო კამპანიების მეტად გაშუქებამ გამოიწვია. გარდა ამისა, ამ პერიოდში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურები, რაც აქტიურად შუქდებოდა ყველა არხზე და სადაც ხშირად დადებით კონტექსტში ჩანდნენ სხვადასხვა ქართველი პოლიტიკოსები.

- 3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში მერობის კანდიდატებს წინა პერიოდთან შედარებით მეტი დრო დაეთმო. თუმცა, ყველა არხზე (აჭარის ტელევიზიის გარდა) ისევ მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. დანარჩენი ქალაქების მერობის კანდიდატები მონიტორინგის ქვეშ მყოფ თითქმის არცერთ არხზე არ გაშუქებულა.
- აჭარის ტელევიზიაზე მეტი დრო ბათუმის მერობის კანდიდატებს დაეთმო.

მონიტორინგის ამ პერიოდში იმ სატელევიზიო არხების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, რომლებსაც მონიტორინგი აკვირდება, ბევრი აქტუალური და მნიშვნელოვანი თემა გაშუქდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთები იყო: NDI-ს წინასაარჩევნო კვლევა, თბილისის სამიტი 2014, საკონსტიტუციო ცვლილებები, ფარული ჩანაწერები, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობა და მათი საარჩევნო ნომერი, 26 მაისის აღნიშვნის დეტალები, ხელისუფლების წევრებისთვის გაცემული პრემიები, ჰერმან ვან რომპეისა და ფრანსუა ოლანდის ვიზიტები, დარიალის ხეობის მოვლენები, ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერის ვინაობა, საარჩევნო თემატიკა და კანდიდატების კამპანიები.


საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად მზადდებოდა ვრცელი და ანალიტიკური სიუჟეტები. ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა, გადმოცემული ამბები ნეიტრალურად გაეშუქებინათ, მისი უარყოფითი ან დადებითი შინაარსის მიუხედავად. სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო და წარმოადგენდა განსხვავებულ პოზიციებს გაშუქებული საკითხის ორგვლივ.

ამ პერიოდში განსაკუთრებით ვრცლად და დეტალურად გაშუქდა კანონპროექტი თავდაცვის შესახებ და კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. სიუჟეტებში ინფორმაცია ამომწურავად იყო მოწოდებული. განმარტებული იყო კანონების შინაარსი, რას ითვალისწინებენ ისინი, რატომ შევიდა კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ახლა, თავდაცვის კანონპროექტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან და ა.შ. ასევე, საკმაოდ ვრცელი და ინფორმაციული სიუჟეტები მომზადდა თბილისის სამიტის, ჰერმან ვან რომპეისა და ფრანსუა ოლანდის ვიზიტების შესახებ საქართველოში.


რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სამი სუბიექტი, რომლებსაც ამ პერიოდში ყველაზე მეტი დრო ეთმობოდა, არის: მთავრობა (23%), კოალიცია ქართული ოცნება (20%)

და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა¹ (18%). დანარჩენ სუბიექტებს 8% და ნაკლები დაეთმოთ. აღსანიშნავია, რომ 3-დან 23 მაისის ჩათვლით თითქმის ყველა არხზე, მათ შორის პირველ არხზეც, საკმაოდ იმატა დადებითი ტონის წილმა ყველა სუბიექტის შემთხვევაში. ეს გარკვეულწილად წინასაარჩევნო თემატიკის აქტიური გაშუქების შედეგია. აგრეთვე, მონიტორინგის ამ პერიოდს დაემთხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის ვიზიტი საქართველოში. ეს მოვლენები აქტიურად შუქდებოდა ყველა არხზე, სადაც მონაწილეობას იღებდნენ პრემიერმინისტრი, პრეზიდენტი, მთავრობის წევრები და სხვა პოლიტიკოსები.



რაც შეეხება მერობის კანდიდატების გაშუქებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ყოველ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში შუქდებოდა მერობის კანდიდატები და მათი საარჩევნო აქტივობები. ასევე, ყოველ შაბათს სტუდიაში მიწვეული იყო სხვადასხვა პარტიის მერობის კანდიდატი. ამ პერიოდში თბილისის კანდიდატებს ჯამში 1 საათი და 7 წუთი დაეთმოთ; პირველ სამ ადგილზე, დროის თითქმის ერთნაირი განაწილებით არიან: დიმიტრი ლორთქიფანიძე (24%), კახა კუკავა (21%) და გია გაჩეილაძე (20%). ისევე, როგორც ძირითადი სუბიექტების შემთხვევაში, კანდიდატების შემთხვევაშიც ჭარბობს დადებითი ტონი, რაც მათი წინასაარჩევნო გამოსვლებით და აქტივობებით აიხსნება.

¹ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილ პარტიებში გაერთიანებულია მათი მერობის კანდიდატების დროც.



აჭარის ტელევიზია


აჭარის ტელევიზიის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის ამ პერიოდის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტების უმრავლესობაში დაცული იყო ბალანსი, ობიექტურად შუქდებოდა აქტუალური თემები, წარმოდგენილი რესპონდენტები გამოირჩეოდნენ მრავალფეროვნებით. ჟურნალისტები ცდილობდნენ არ გამოეყენებინათ შეფასებითი ლექსიკა და კონცენტრირებული იყვნენ უშუალოდ ფაქტების გადმოცემაზე.

მონიტორინგის წინა მონაკვეთის მსგავსად, 3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები კვლავ დიდ დროს უთმობდნენ ადგილობრივი საკითხების, სოციალური პრობლემების, ინფრასტრუქტურული და გარემოს დაცვის პრობლემების გაშუქებას.


რაც შეეხება სუბიექტებისათვის დათმობილ დროს, გამოიკვეთა ორი პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო - კოალიცია ქართული ოცნება (27%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (19%). მნიშვნელოვანი დრო გამოეყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასაც - 10%. აღსანიშნავია, რომ გარდა საპარლამენტო პოლიტიკური პარტიებისა, აჭარის ტელევიზიამ მნიშვნელოვანი საეთერო დრო დაუთმო რიგ პოლიტიკურ სუბიექტებსაც. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის მოცემულ პერიოდში სტუმრად იყვნენ მიწვეულნი ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის, არასაპარლამენტო ოპოზიციისა და ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები. საარჩევნო თემატიკის აქტიურად გაშუქების გამო გაიზარდა სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქება.

აჭარის ტელევიზიაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი



მსგავსად ადგილობრივი საკითხებისა, აჭარის ტელევიზია მერობის კანდიდატების გაშუქების დროსაც მეტ დროს ბათუმის კანდიდატებს უთმობდა. მონიტორინგის პირველ მონაკვეთთან შედარებით, 3-დან 23 მაისის ჩათვლით მოცემულ პერიოდში გაიზარდა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიების გაშუქება. ხშირად მზადდებოდა სიუჟეტები კონკრეტული კანდიდატების საარჩევნო დაპირებებისა და მიზნების შესახებ. საარჩევნო თემატიკის გაშუქებისას პოლიტიკური სუბიექტების ბალანსი დაცული იყო. ყველაზე მეტი დრო ბათუმის კანდიდატებს დაეთმო - მთლიანობაში 36 წუთი. მათგან ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატს, გიორგი ერმაკოვს (42%) დაეთმო. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, მათ დაახლოებით თანაბარი დრო დაეთმო. ტონის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ყველა კანდიდატის გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონი, რაც საარჩევნო კამპანიისა და მოსახლეობასთან შეხვედრების აქტიური გაშუქებით აიხსნება.



რუსთავი 2

3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში რუსთავი 2-ის სადამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში აქტუალური საკითხები შექდებოდა დაბალანსებულად და ანალიტიკურად. ჟურნალისტები ცდილობდნენ, დეტალურად გადმოეცათ ინფორმაცია და სიუჟეტებში წარმოდგენილი ყოფილიყო სხვადასხვა მოსაზრების მქონე რესპონდენტები. ამ პერიოდში დიდი დრო დაეთმო რუსთავი 2-ის შენობაში აღმოჩენილ ფარულ ვიდეო კამერებს და ზოგადად ფარული მოსმენების და ჩანაწერების თემას. გარდა ამისა, დეტალურად გაშუქდა NDI-ის კვლევის შედეგებისა და საქართველოში უცხოური დელეგაციების ვიზიტები. შესამჩნევი იყო საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული სიუჟეტების და საარჩევნო სუბიექტების კამპანიების გაშუქების ზრდა.


თუმცა, აღსანიშნავია რუსთავი 2-ის სიუჟეტებში მთავრობისადმი დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ რიგ სიუჟეტებში მთავრობის წევრები წარმოდგენილი იყვნენ დადებითი კუთხით², შეინიშნებოდა მთავრობისადმი კრიტიკული სიუჟეტების მატების ზოგადი ტენდენცია, სადაც ხშირად შესამჩნევი იყო უარყოფითი კონტექსტი. ასევე, აღსანიშნავია არხის დამოკიდებულება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ, რომელიც ამ პარტიის წევრების აქტივობების ფართოდ გაშუქებაში გამოიკვეთა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მხოლოდ რუსთავი 2-ზე შექდებოდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მის წევრებთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის ვიზიტები უკრაინაში და 19 მაისს სტუმრად მოწვეული გიორგი ვაშაძე,

² მაგალითად, 6 მაისის მეხუთე სიუჟეტი თბილისის სამიტის შესახებ და 13 მაისის მესამე სიუჟეტი ქართული ჯარის ევროკავშირის მისიაში მონაწილეობის შესახებ.

რომელმაც იუსტიციის სახლების მოდელის უკრაინაში დანერგვის შესაძლებლობაზე ისაუბრა. როგორც წესი, ასეთ სიუჟეტებში შეინიშნებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების დადებით კონტექსტში გაშუქება.


ასევე აღსანიშნავია, პარასკევობით, საინფორმაციო გამოშვების ბოლო ნაწილში გასული თოქშოუ, რომლის წამყვანია პაატა იაკობაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სულ ორი გადაცემა გავიდა და რთულია რაიმე ტენდენციაზე საუბარი, შეინიშნებოდა წამყვანის მხრიდან საკუთარი აზრის ხშირი გამოხატვა³ და ოპონირება სტუმრებთან. წამყვანი კრიტიკული იყო მთავრობისა და კოალიცია ქართული ოცნების მიმართ.

ეს დამოკიდებულება ტონის განაწილების გრაფიკზეც აისახება, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის დათმობილი დროის 18% დადებითი ტონით გაშუქდა, უარყოფითით კი - 5%. რაც შეეხება მთავრობას, დადებითი ტონის მაჩვენებელი 11%, ხოლო უარყოფითის 18% იყო. პრემიერმინისტრს დადებითი ტონის 32% აქვს, რაც ძირითადად თბილისში უცხოური დელეგაციების დროს მისი ხშირი გამოჩენით არის განპირობებული, ხოლო 16% უარყოფითი ტონის წილი.



³ ასოცირების ხელშეკრულების მოწერის შესახებ 23 მაისს - „აღბათ, იმას, რაც ხდება ამ ხელმოწერასთან დაკავშირებით, ახლაც შალახო ნამდვილად მოუხდებოდა“; საარჩევნო დაპირებების შესახებ - „ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მინისტრებს, მოადგილეებსა და დეპუტატებს ფული არ სჭირდებათ. მათ ხელფასიც უნდა მიიღონ და, რა თქმა უნდა, მივლინებაშიც კომფორტულად უნდა იგრძნონ თავი, უზრალოდ თქვენ გირჩევთ, აღარასოდეს დაიჯეროთ დაპირება, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პოლიტიკოსები ნაკლებს დახარჯავენ.“

მერობის კანდიდატებიდან, სხვა არხების მსგავსად, რუსთავი 2-ზეც ყველაზე მეტი დრო თბილისის მერობის კანდიდატებს დაეთმო, ჯამში 30 წუთი. დათმობილი დროის მიხედვით, თითქმის თანაბრად გაშუქდა ყველა ძირითადი მერობის კანდიდატი. ასევე, შედარებით გაზრდილია კანდიდატების დადებითი ტონით გაშუქება. ყველაზე მეტი დრო დიმიტრი ლორთქიფანიძეს დაეთმო, აქედან 21%-ის განმავლობაში იგი დადებითი ტონით გაშუქდა. აღსანიშნავია, რომ ასევე მას დაუფიქსირდა უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 9%. აგრეთვე შესამჩნევია ნიკა მელიას მიმართ დაფიქსირებული დადებითი ტონის წილი - 74%.




იმედი

იმედზე 3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მზადდებოდა დაბალანსებული, ნეიტრალური და მიუკერძოებელი სიუჟეტები. საინფორმაციო გამოშვებების დასაწყისში უფრო ხშირი იყო ანალიტიკური ტიპის სიუჟეტები, გადაცემის მეორე ნახევარში კი ჭარბობდა მოკლე და მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემაზე ორიენტირებული სიუჟეტები. სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი და სხვადასხვა მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები განხილული საკითხის ორგვლივ. თუმცა, იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც სიუჟეტებში რომელიმე მხარის პოზიცია არ იყო დაფიქსირებული.


აღსანიშნავია, რომ წინა ანგარიშის მსგავსად, 3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში კრიტიკული სიუჟეტები მზადდებოდა როგორც მთავრობისა და მმართველი გუნდის, ისე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შესახებ. სხვა ტელეარხების მგავსად, მოიმატა საარჩევნო თემატიკის გაშუქებამ, სადაც თითქმის თანაბრად გაშუქდნენ არჩევნებში მონაწილე სუბიექტები.

სიუჟეტებში დათმობილი დროის მიხედვით გამოიკვეთა სამი ძირითადი სუბიექტი, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო - მთავრობა (29%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (22%) და კოალიცია ქართული ოცნება (21%). როგორც სხვა არხებზე, ასევე იმედზე მონიტორინგის ამ პერიოდში თვალში საცემია ყველა სუბიექტის მიმართ დაფიქსირებული დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები. დადებითი ტონის მსგავსი მაჩვენებელი დიდწილად განაპირობა საარჩევნო თემატიკის შემცველი სიუჟეტების მომატებამ. აგრეთვე აღსანიშნავია პრემიერმინისტრის და პრეზიდენტის დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ეს გამოწვეული იყო მონიტორინგის პერიოდში საქართველოში სხვადასხვა სახელმწიფოს პრეზიდენტისა და უცხოური დელეგაციების ვიზიტებით, რომელთა გაშუქებისას სახელმწიფოს პირველი პირები დადებითად წარმოჩინდნენ.



რაც შეეხება მერობის კანდიდატების გაშუქებას, იმედზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე აქტიურად თბილისის მერობის კანდიდატები გაშუქდნენ. მთლიანობაში მათ 30 წუთი დაეთმო, რომლის უმეტესი ნაწილი ორ კანდიდატს - დავით ნარმანიასა (კოალიცია ქართული ოცნება) და ნიკა მელიას (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) დაეთმო. სხვა დანარჩენ კანდიდატებზე დრო თანაბრად გადანაწილდა. რაც შეეხება კანდიდატების

გაშუქებას ტონის მიხედვით, ყველა კანდიდატს დადებითი ტონის მაღალი წილი აქვს. დადებითი ტონის მსგავსი მაჩვენებლები გამოიწვია იმედის მიერ კანდიდატების საარჩევნო კამპანიისა და შეხვედრების გაშუქებამ, რომლის დროსაც კანდიდატები დადებითი კუთხით ცდილობენ საკუთარი თავის წარმოჩენას.




მაესტრო

3-დან 23 მაისის ჩათვლით მაესტროს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები ვრცელი, ამომწურავი და დაბალანსებული იყო. მზადდებოდა ბევრი კრიტიკული და ანალიტიკური სიუჟეტი მთავრობისა და ხელისუფლების წევრების შესახებ სხვადასხვა საკითხების ორგვლივ. ვრცლად და დეტალურად იყო გაშუქებული მთავრობის წევრებისთვის გაცემული პრემიები, დეპუტატების დიპლომები. თუმცა, ამ სიუჟეტებში ხშირად შესამჩნევი იყო აქცენტი ხელისუფლებასა და მთავრობაში შესაძლო დაპირისპირების არსებობის შესახებ, რაც უფრო უარყოფით კონტექსტს სძენდა სიუჟეტებს. კრიტიკული სიუჟეტები ასევე მზადდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შესახებ.

20 მაისს მთავრობა გამოეხმაურა ვახო სანაიას გადაცემას, გააკრიტიკა ის და ტენდენციური უწოდა. მაესტროზე გავიდა საპასუხო სიუჟეტი, სადაც განმარტებული იყო, რომ აღნიშნული გადაცემა არ შეიცავდა მიზანმიმართულ უარყოფით შეფასებებს მთავრობის მიმართ და არ

იყო ტენდენციური. აღსანიშნავია, რომ საპასუხო სიუჟეტი საკმაოდ ნეიტრალური იყო და მაესტროს, როგორც მოპასუხე მხარის პოზიციიდან არ იყო მომზადებული.


რაც შეეხება მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, 3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში მთავრობას დათმობილი დროის საკმაოდ დიდი წილი აქვს - 41%. შემდეგ მოდის კოალიცია ქართული ოცნება - 21% და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 16%. მონიტორინგის ამ პერიოდში ყველა არხზე თვალში საცემი იყო დადებითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ყველა სუბიექტთან მიმართებაში. თუმცა, მაესტროზე ჭარბობს ნეიტრალური ტონი მიუხედავად იმისა, რომ სტუდიაში ყოველდღე მიწვეული იყო სხვადასხვა პოლიტიკოსი, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ, ესაუბრათ პირდაპირ ეთერში.



სტუდიაში მოწვეული სტუმრებიდან 3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში შეიძლება გამოიყოს ნიკა მელიასა (8 მაისი) და ეროსი კიწმარიშვილის სტუმრობა (14 მაისი). ნიკა მელიას სტუმრობისას ჟურნალისტმა ძალიან დიდი დრო ყოფილ პრეზიდენტსა და მის გუნდს დაუთმო. საბოლოო ჯამში, სტუმარს უფრო მეტად წინა ხელისუფლების კრიტიკის მოსმენა და შესაბამის კითხვებზე პასუხის გაცემა უწევდა, ვიდრე საკუთარი საარჩევნო პროგრამის შესახებ საუბარი. რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის სტუმრობას, თავიდანვე გამოჩნდა ჟურნალისტის დამოკიდებულება სტუმრის მიმართ. ჟურნალისტი სტუმარს საუბარს არ აცდიდა და შთაბეჭდილება დარჩა, რომ გამიზნულად ცდილობდა მის

უარყოფითად წარმოჩენას, სავარაუდოდ, 2012 წელს ტელეკომპანია „მაესტროს“ ორგვლივ განვითარებული მოვლენების გამო.

სხვა მხრივ საარჩევნო სიუჟეტები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად შუქდებოდა. არ შეინიშნებოდა რომელიმე კანდიდატის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. 18-დან 23 მაისის პერიოდში უფრო ნაკლებად შუქდებოდა საარჩევნო საკითხები, და არც სტუდიაში ყოფილა მიწვეული რომელიმე კანდიდატი. თბილისის მერობის კანდიდატებს მონიტორინგის ამ პერიოდში სულ 34 წუთი დაეთმოთ, აქედან ყველაზე მეტი დრო - ნიკა მელიას (15 წუთი) და კახა კუკავას (13 წუთი). დანარჩენ კანდიდატებს 2 წუთი ან ნაკლები დრო ერგოთ. ტონის განაწილება სუბიექტებს შორის საკმაოდ მსგავსია.




კავკასია

3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში ტელეკომპანია კავკასიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები ნეიტრალური, ინფორმაციული და დაბალანსებული იყო. ჟურნალისტები მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ მომხდარ ფაქტებს და წარმოაჩენდნენ ყველა მხარის პოზიციას. შეინიშნებოდა სოციალური საკითხების მეტად გამუქების ტენდენცია. საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები მსგავსი თემების შესახებ ცდილობდნენ მოემზადებინათ ანალიტიკური სიუჟეტები, სადაც წარმოდგენილი იყო


მოსაზრებათა მრავალფეროვნება. კვლავ პრობლემად დარჩა ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევები, კერძოდ ერთიდაიგივე კადრების გამოყენება სხვადასხვა სიუჟეტებში.

მონიტორინგის პირველი მონაკვეთის მსგავსად, მთავრობას (27%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა (21%) და კოალიცია ქართულ ოცნებას (19%) ყველაზე მეტი დრო დაეთმო. მათ შემდეგ დათმობილი დროის მიხედვით არის პრემიერმინისტრი (12%). მსგავსად სხვა ტელეარხებისა, ამ პერიოდში შეინიშნება დადებითი ტონის მაჩვენებლების ზრდა. დროის მიხედვით პირველ სამ სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს - 24%, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებელი მთავრობას - 13%. აღსანიშნავია, რომ პრემიერმინისტრისთვის გამოყოფილი დროის 39% დადებითი ტონით შეფასდა, უარყოფითით კი მხოლოდ 6%. შესამჩნევია აგრეთვე პრემიერმინისტრისა და პრეზიდენტის მაღალი დადებითი ტონიც, რაც მონიტორინგის პერიოდში საქართველოში უცხოელი სახელმწიფოს მეთაურებისა და წარმომადგენლების ვიზიტებს და ამ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პირველი პირების დადებითად წარმოჩენით აიხსნება.



რაც შეეხება მერობის კანდიდატებისთვის დათმობილ დროს, ყველაზე მეტად საინფორმაციო გამოშვებებში თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. საერთო ჯამში, ყველა კანდიდატს 25 წუთი დაეთმო, რომელიც თითქმის თანაბრად გადანაწილდა სუბიექტებს შორის. აღსანიშნავია ტონის გადანაწილებაც, კერძოდ, გაზრდილი დადებითი ტონი და

უარყოფითი ტონის არარსებობა. ეს გამოწვეული იყო საარჩევნო კამპანიისა და კანდიდატების პირდაპირი საუბრის გაშუქების გაზრდით.



ტვ3


მონიტორინგის ამ პერიოდში ტვ3-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მზადდებოდა ანალიტიკური სიუჟეტები სხვადასხვა საკითხებზე. ხშირად კეთდებოდა შედარება ახალ ხელისუფლებასა და ძველ ხელისუფლებას შორის როგორც საარჩევნო, ისე დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით. გასული სიუჟეტები უმეტესად კრიტიკული იყო როგორც მთავრობის და ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე ოპოზიციის, კერძოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კრიტიკულ სიუჟეტებში შესამჩნევი იყო უფრო მეტი უარყოფითი კონტექსტის მქონე სიუჟეტი ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ყოფილი ხელისუფლების წევრების მიმართ. ამ კუთხით შეიძლება გამოიყოს წამყვანი ნანა ლეჟავა, რომლის ტექსტები ხშირად უარყოფითი და ირონიული შინაარსის შემცველია. იყო შემთხვევები, როდესაც მიუხედავად სიუჟეტში გადმოცემული ნეიტრალური ამბისა,

წამყვანის მიერ გაკეთებული შესავალი სიუჟეტის მთელ კონტექსტს უარყოფითისკენ ცვლიდა⁴. ასევე, ხშირია სიუჟეტისთვის უარყოფითი შინაარსის მქონე სათაურები.


3-დან 23 მაისის ჩათვლით საინტერესო და ანალიტიკური სიუჟეტები მომზადდა, რომლებიც სხვა არხებზე არ ყოფილა: „ყველაზე ღია და ჩაკეტილი უწყებები“ (23 მაისი), „შვირადღირებული საპირფარეშოები ფუნქციის გარეშე“ (22 მაისი).

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, მთავრობას (26%), კოალიცია ქართულ ოცნებასა (22%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (21%) შორის დრო საკმაოდ თანაბრად გადანაწილდა. ასევე, მსგავსი მაჩვენებლები აქვთ პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს - 11 და 9 პროცენტი. ამ პერიოდში ყველა არხზე იმატა დადებითი ტონის წილმა. მსგავსი სურათია ტვ3-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაშიც. ყველა სუბიექტს მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი დაუფიქსირდა.



რაც შეეხება საარჩევნო თემატიკას, თბილისის მერობის კანდიდატებს ჯამში სულ 22 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატს, დავით ნარმანიას დაეთმო - 8 წუთი. თითქმის ყველა კანდიდატის შემთხვევაში ჭარბობს დადებითი ტონი.

⁴23 მაისი, სიუჟეტი „პრეზიდენტი თუ პრემიერი“: „თამაშვარე დარჩენილი გიორგი მარგველაშვილი, როგორც ჩანს, გაჯიუტებას აღარ აპირებს. ახლა პრეზიდენტის ადმინისტრაცია იმის გარკვევას ელოდება იქნება თუ არა მარგველაშვილი დელეგაციაში მანც.“



დასკვნა

3-დან 23 მაისის ჩათვლით პერიოდში წინა ანგარიშთან შედარებით, რომელიც 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა, მომატებული იყო ანალიტიკური სიუჟეტების რაოდენობა. თითქმის ყველა არხზე დღის აქტუალური და მნიშვნელოვანი თემები დეტალურად და ამომწურავად შუქდებოდა. დაცული იყო რესპონდენტთა ბალანსი და მაყურებელს მიეწოდებოდა სრული ინფორმაცია. მომატებული იყო მთავრობის და ხელისუფლების კრიტიკა სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით.

ამ პერიოდში საკმაოდ იმატა სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქებამ, რაც გარკვეულწილად საარჩევნო კამპანიების უფრო ხშირი გაშუქებით აიხსნება. ასევე, ამ პერიოდში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურები, რაც აქტიურად შუქდებოდა ყველა არხზე და სადაც ხშირად დადებით კონტექსტში ჩანდნენ სხვადასხვა ქართველი პოლიტიკოსებიც.

რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით იმატა მერობის კანდიდატებს საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქებამ. თუმცა, ყველა არხზე (აჭარის ტელევიზიის გარდა) ისევ მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. დანარჩენი ქალაქების მერობის კანდიდატები თითქმის არსად გაშუქებულა. აჭარის ტელევიზიაზე მეტი დრო ბათუმის მერობის კანდიდატებს დაეთმო. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველა კანდიდატს დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა. რაც, ძირითადად მათი კამპანიების და დაპირებების გაშუქებით აიხსნება.